პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 270 (18512) სამშაბათი, 23 ნოემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

1982 წლის 22 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა მოხსენებები „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" და „სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო განხილულ საკითხებზე დადგენილება.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 22 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; ა. პ. ლიაშკო — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; გ. ხ. ზოლოტუხინი — სსრ კავშირის დამზადების მინისტრი; გ. პ. ბოგომოლოვი — სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ნ. ვ. პერეკვერზევა — კოლმეურნეობა „ლენინის გზის" კომბაინერ-მეტროლური, როსტოვის ოლქი; ვ. პ. დემიდენკო — ყაზახეთის კომპარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; გ. პ. ლოცმანოვა — ყაზანის ელექტრონული გამოთვლელი მანქანების ქარხნის მემონტაჟე; ლ. გ. კლეცკოვი — ბელორუსიის კომპარტიის გროდნოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; ბ. ვ. ბაკინი — სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო საგუშაოთა მინისტრი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა. სიტყვა პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო განხილულ საკითხებზე დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაიყვანა ამხ. ბ. ა. ალიევი;

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ა. პ. კირილენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და მის პირად თხოვნასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ ამხ. ა. პ. კირილენკო მრავალი წლის მანძილზე აქტიურად მუშაობდა, როგორც ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში, ისე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, და ჩვენ ჯეროვან პატივს მივაგებთ მის ღვაწლს პარტიისა და ქვეყნის წინაშე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ნ. ი. რიჟკოვი;

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გადაიყვანა ამხანაგები ვ. ს. ალხიმოვი — სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ვ. ს. მაკარენკო — უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ვ. პერეკვერზევა — კოლმეურნეობა „ლენინის გზის" კომბაინერ-მეტროლური, როსტოვის ოლქი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ". დადგენილება პრესაში ქვეყნდება.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება
სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

1. ძირითადად მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს აღნიშნული პროექტები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

2. მთლიანად და სავსებით იქნეს მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის XXVI ყრილობის მიერ შემუშავებული კურსის განსახორციელებლად, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად.

მოწონებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები და დაედოს ისინი საფუძვლად ყველა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა გააჩაღონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა შესრულდეს მორიგი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, კიდევ უფრო განმტკიცდეს სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება; მიღებულ იქნეს საჭირო ღონისძიებები მომდინარე წლის დავალებათა წარმატებით რეალიზაციის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მთლიანად ხუთწლედისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის გეგმის წარმატებით შესრულებას, და პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ წარმართონ მთელი მეცადინეობა პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის რეალიზაციისათვის — საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებისა და სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, რათა გაუმჯობესდეს სამეურნეო საქმიანობა, დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კაპიტალური მშენებლობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, განსორციელდეს შესაბამისი ღონისძიებანი სათბობის, ნედლეულის, ლითონისა და სხვა მასალების, საფინანსო და შრომითი რესურსების ხარჯვის ნორმების დასაცავად. უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნეს მიჩნეული დაგეგმვისა და ეკონომიკის მართვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის მიმდინარე მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება.

უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებას, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გეგმაზომიერ განვითარებას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას წარმოების ყოველ უბანზე, მართვის ყველა სფეროში, ორგანიზებულობისა და გერგილიანობის ამაღლებას მუშაობაში, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების არსებული რეზერვების უფრო სრულ გამოყენებას, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვას, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, უმაღლესი სპმოლო შედეგების მიღწევას უმცირესი დანახარჯებით. განუხრელად დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. უზრუნველყოფილ იქნეს მკაცრი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

ამაღლდეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანობა და, უწინარეს ყოვლისა, გაფართოვდეს და გაღრმავდეს თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელი, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიის გარშემო, ღირსეულად შეხვდებიან სსრ კავშირის შექმნის სამოც წლისთავს, აღნიშნავენ 1983 წელს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი მიღწევებით, უზრუნველყოფენ ქვეყნის შემდგომ წარმატებულ წინსვლას კომუნიზმის ლენინური გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა
სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 22 ნოემბრის პლენუმზე

ამხანაგებო!

ჩვენ ვამთავრებთ ხუთწლედის მორიგი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვას. ჩვენთვის წარმოდგენილ დოკუმენტებში უკვე გათვალისწინებულია მთელი რიგი არსებითი შენიშვნები, რომლებიც პოლიტბიუროს სხდომაზე გამოითქვა. ვფიქრობ, გეგმის შესრულების პროცესში მინისტრთა საბჭო გაითვალისწინებს იმ წინადადებებსაც, რომლებსაც დღეს გამოვთქვამთ, ამხანაგებო.

თუ იმით ვიმსჯელებთ, რაც პლენუმზე გამოსულმა ამხანაგებმა თქვეს, ჩვენ საერთო აზრს ვადგავართ — გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები მთლიანად შეესაბამება სკკპ XXVI ყრილობის დებულებებს, და ისინი უნდა მოვიწონოთ. **(ტაში).**

რა არის დამახასიათებელი გეგმის პროექტისათვის? დასახულია დაჩქარდეს ეკონომიკის განვითარების ტემპი, გადიდდეს ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატების აბსოლუტური ოდენობა, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა. გათვალისწინებულია გაგრძელდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად — დაძაბული დავალებანი უნდა შეესრულოთ მატერიალური დანახარჯებისა და შრომითი რესურსების შედარებით ნაკლები ზრდის პირობებში.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პროექტში დაცულია პარტიის გეზი — მშრომელთა კეთილდღეობის გაუჯობესების გეზი. დაგეგმილია „ბ" ჯგუფის დარგების უპირატესი ზრდა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება. დიდი მატერიალური და ფინანსური რესურსები გამოიყოფა აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარებისათვის. კვლავაც გაიზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი. ხუთწლედის დავალებებს შეესაბამება საბინაო მშენებლობის მოცულობაც.

ამრიგად, გეგმის პროექტი ადასტურებს, რომ საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვა, მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, მისი სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა პარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დებულებაა.

როგორც ყოველთვის, ჯეროვნად არის გათვალისწინებული თავდაცვის მოთხოვნილებანი. პოლიტბიუროს მიაჩნდა და მიაჩნია სავალდებულო საქმედ მისცეს ყოველივე აუცილებელი არმიისა და ფლოტს, მეტადრე ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში.

ბიუჯეტის პროექტი უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული განვითარების დაფინანსებას.

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი მიმდინარეობს მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპზე — ხუთწლედის მესამე, ასე ვთქვათ, გადამწყვეტი წლის წინ. ჩვენ ბევრი რამ გვაკეთეთ. მაგრამ მოგველის ძნელი და დაძაბული მუშაობა.

მინდა საგანგებოდ მივაპყრო თქვენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით ხუთწლედის პირველი ორი წლის საგეგმო დავალებანი შეუსრულებელი დაგვრჩა. ბუნებრივია, ეს დაღს ასვამს პროექტსაც, რომელსაც დღეს განვიხილავთ.

ცენტრალური კომიტეტის წევრებს ახსოვთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უკანასკნელი გამოსვლები, მისი ბარათები ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში ეკონომიკური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. იგი ასე აყენებდა საკითხს: პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე ჩვენ შევიმუშავეთ მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკა, დავადგინეთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მისი ინტენსიფიკაციის კურსს. მაგრამ ჩვენი მეურნეობის ამ რელსებზე გადაყვანა, ეფექტიანობისაკენ შემობრუნება ჯერ კიდევ ნელა ხორციელდება.

ეკონომიკის ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელი — შრომის ნაყოფიერება ისეთი ტემპით იზრდება, როგორიც ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. პრობლემად რჩება სანედლეულო და გადამმუშავებელი დარგების განვითარების შეუსაბამობა. პრაქტიკულად არ კლებულობს პროდუქციის მასალატევადობა.

გეგმები კვლავინდებურად დიდი დანახარჯებისა და საწარმოო ხარჯების ფასად სრულდება. ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც ხალისით მოპყავთ ციტატად ლეონიდ ილიას ძის ფრთოსანი სიტყვები, ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოსო, პრაქტიკულად კი თავს არ იწუხებენ ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

ეტყობა, ჯერ კიდევ მოქმედებს ინერციის ძალა, ჯერ კიდევ ვერ გადაჩვევიან მიჩვეულს. ხოლო ზოგ-ზოგებმა, ალბათ, უბრალოდ არ იციან, როგორ მოპკიდონ ხელი საქმეს. უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა დახმარება შეგვიძლია გავუწიოთ ასეთ ამხანაგებს. მთავარი კი ის არის, რომ დავაჩქაროთ ეკონომიკის ხელმძღვანელობის მთელი სფეროს — მართვის, დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის მუშაობა.

საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები — ეკონომიკური და ორგანიზაციული, — რომლებიც ტიმულს მისცემდა ხარისხიან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივას, თანსნობას. და პირიქით, ცუდი მუშაობა, უნიათობა, უპასუხისმგებლობა ყველაზე უშუალოდ და გარდაუვალად უნდა ახდენდეს გავლენას მუშაკთა მატერიალურ ანაზღაურებაზეც, სამსახურებრივ მდგომარეობაზეც და მორალურ ავტორიტეტზეც. **(ტაში).**

საჭიროა გავაძლიეროთ საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესების დაცვისათვის პასუხისმგებლობა, მტკიცედ აღმოვფხვრათ უწყებრიობა და კუთხურობა. წესად უნდა გავიხადოთ ის, რომ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას ერთსა და იმავე საკითხზე ვიღებდეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულებულია წინანდელი გადაწყვეტილებანი, ანდა წარმოიშვა რაიმე ახალი გარემოებანი. საჭიროა უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ საქმეში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების სრულ მხარდაჭერას, ყველა საბჭოთა ადამიანის მხარდაჭერას ვპოვებთ. **(ტაში).**

ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ საჭიროა გაფართოვდეს გაერთიანებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობა. ვგონებ, დადგა დრო, პრაქტიკულად მივუდგეთ ამ საკითხის გადაწყვეტას. ამასთან დაკავშირებით დავალებანი მიეცათ მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. აქ წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ, თუ საჭირო გახდა, მოვაწყოთ ექსპერიმენტები, ავწონ-დავწონოთ და გავითვალისწინოთ მოძმე ქვეყნების გამოცდილებაც. დამოუკიდებლობის გაფართოება ყველა შემთხვევაში უნდა შეეხამებოდეს პასუხისმგებლობის ზრდას, საერთო-სახალხო ინტერესებისათვის ზრუნვას.

ჩვენ დიდი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობაში. ეს დღევანდელ გამოსვლებშიც აღინიშნა. მთელი ეს რეზერვები უნდა ვეძიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფ საწარმოო დანერგვაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის ახალი საკითხი. იგი არაერთგზის აღგვიძრავს პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე. და მაინც, საქმეს საშველი არ ადგება. რატომ? პასუხიც კარგა ხანია ცნობილია: ახალი მეთოდის, ახალი ტექნიკის დასანერგავად საჭირო წარმოების ისე თუ ისე რეორგანიზაცია, ეს კი დაღს ასვამს გეგმის შესრულებას. მით უმეტეს, რომ წარმოების გეგმის ჩაშლისათვის პასუხს გთხოვენ, ახალი ტექნიკის სუსტი დანერგვისათვის კი დიდი-დიდი დაგტუქსონ.

თუ ჩვენ გვინდა ნამდვილად დავაწინაუროთ ახალი ტექნიკისა და შრომის ახალი მეთოდების დანერგვის საქმე, მაშინ ცენტრალური სამეურნეო ორგანოები, მე-

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ითვალისწინებენ რა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ისტორიულ დამსახურებას, და მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ამოერიდან ეწოდოს:

ქალაქ ნაბერეჟნეე ჩელნის — ქალაქი ბრეჟნევი;

ქალაქ მოსკოვის ჩერეომუშკის რაიონს — ბრეჟნევის რაიონი;

ქალაქ დნეპროძერჟინსკის ქარხნის რაიონს — ბრეჟნევის რაიონი.

2. მიენიჭოს ლ. ი. ბრეჟნევის სახელი:

ოსკოლის ელექტრომეტალურგიულ ქარხანას;

საწარმოო გაერთიანება „სამხრეთის მანქანათმაშენებელ ქარხანას";

ნოვოროსისკის ცემენტის კომბინატს;

ატომური ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის ეოლგა-დონის საწარმოო გაერთიანება „ატომმაშქანას";

ნერეკის პიროლოელექტროსადგურს, ტაჯიკეთის სსრ;

კუსტანაის ოლქის ყამირის საბჭოთა მეურნეობას;

მოლდავეთის სსრ ორგეევის რაიონის კოლმეურნეობა „ვიაცანოუეს";

დნეპროპეტროვსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსან მეტალურგიის ინსტიტუტს;

ვარსკვლავეთა ქალაქს (მოსკოვის ოლქი);

ატომურ ყინულმჭრელ „არქტიკას";

თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელს;

სასწავლო სატანკო დივიზიას, სადაც ლ. ი. ბრეჟნევი მსახურობდა;

ქალაქ დნეპროძერჟინსკის № 1 საშუალო სკოლას;

თითო ახალ მოედანს ქალაქებში მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ალმა-ათასა და დნეპროპეტროვსკში;

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდს;

საზღვაო სამგზავრო გემს.

3. დაწესდეს ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის 12 სტიპენდია მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დნეპროპეტროვსკის ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტისა და დნეპროძერჟინსკის არსენიჩევის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

4. დაიდგას მემორიალური სამახსოვრო დაფები დნეპრის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც ლ. ი. ბრეჟნევი მუშაობდა, დნეპროძერჟინსკის არსენიჩევის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის შენობაზე, სადაც იგი სწავლობდა, და ქალაქ მოსკოვში კუტუზოვის პროსპექტის № 26 სახლზე, სადაც იგი ცხოვრობდა.

5. დაიდგას ბიუსტი ლ. ი. ბრეჟნევის საფლავზე წითელ მოედანზე კრემლის გალავანთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

(დასასრული)

ცნიერებათა აკადემია, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სამინისტროება მარტოოდენ მათს პროპაგანდას კი არ უნდა სჯერდებოდნენ, არამედ ავლენდნენ და აღმოფხვრიდნენ კიდეც კონკრეტულ სიძნელეებს, რომლებიც ხელს უშლის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მეცნიერებისა და წარმოების შეერთებას ხელს უნდა უწყობდეს დაგეგმვის მეთოდები და მატერიალური სტიმულირების სისტემა. ისინი, ვინც უკან არ იხევს ახალი ტექნიკის დანერგვისას, არასახარბიელო მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდნენ.

მეორე დიდი რეზერვი გახლავთ მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება. 1983 წლის გეგმით წესდება მათი ეკონომიის გადიდებული დავალებანი. გვინდა ამხანაგების ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ახლა მატერიალური რესურსების დაზოგვის საკითხს უნდა განვიხილავდეთ ახლებურად, და არა ისე, რომ „დაზოგავ, — კარგია, არ დაზოგავ და, არც ამით დაშავდება რამეო“.

დღეს მომჭირნეობა, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება ჩვენი გეგმების რეალობის საკითხი გახლავთ. და მისი გადაწყვეტა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელი სისტემით, რომლებიც უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ. დიდი მუშაობა მოუწევს ყველა პარტიულ კომიტეტსა და პარტიულ ორგანიზაციას.

ჩვენ მრავალად გვაქვს შემოქმედებითი მუშაობის, სახალხო დოვლათისადმი ნამდვილად მზრუნველი დამოკიდებულების მაგალითები. მაგრამ ეს გამოცდილება, შმუწუხაროდ, ვერ პოულობს ჯეროვან გავრცელებას. არადა, აქ ხშირად არც არის საჭირო განსაკუთრებული დანახარჯები. მაშასადამე, გვკლებია სხვა რამ — ინიციატივა და მტკიცე ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ამ ამოცანას მხოლოდ მაშინ გადავწყვეტთ, თუ ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი საწარმოების, ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თითოეული მუშა, ყოველი მშრომელი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მათ ეს ამოცანა თავიანთ ღვიძლ საქმედ აღიქვან.

საერთოდ, ამხანაგებო, სახალხო მეურნეობაში მრავლად არის მომწიფებული ამოცანები. მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს მათი გადაწყვეტის მზამზარეული რეცეპტები, მაგრამ სწორედ ჩვენ ყველამ — პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა — უნდა ვიბიოთოთ ეს პასუხი. ვიბიოთო სამმეულო და მსოფლიო გამოცდილების განზოგადების, საუკეთესო პრაქტიკოს მუშაკთა და სწავლულთა ცოდნის აკუმულაციის გზით. ერთი სიტყვით, ცარიელი ლოზუნგებით საქმეს ადგილიდან ვერ დაძრავ, საჭიროა პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი ორგანიზატორული მუშაობა, რათა ამ უდიდეს და მნიშვნელოვან ამოცანთაგან თითოეული განვიხილოთ არა მარტო ყოველი დარგის, არამედ აგრეთვე თითოეული ქარხნის, ყოველი საამქროს, უბნის და, თუ გნებავთ, ყოველი სამუშაო ადგილის მიხედვით.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს უპირველესი საკითხები გახლავთ და მათ ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობა ენიჭებათ. თუ ამ საკითხებს წარმატებით ვადაწყვეტთ, კვლავაც გაიზრდება ეკონომიკა, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობაც.

ჩვენს გეგმებში ცენტრალური ადგილი უკავია სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზით პირველი ნაბიჯების გადადგმა საკმაოდ ძნელ ვითარებაში გვიხდებოდა. ამინდს არც წელს გავუნებივრებივართ. და მით უმეტეს უნდა აღინიშნოს სოფლის მშრომელთა თავდადებული მუშაობა. ამის მეოხებით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მეოხებით მთელმა რიგმა ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა რიგიანი შედეგები მოიპოვეს. მარცვლეულის მოსავალი საგრძნობლად გაიზარდა წინა წელთან შედარებით, მოწეულია ბამბის, ბოსტნეულის, ყურძნის არცთუ ურიგო მოსავალი. გადიდდა კვერცხისა და რძის წარმოება. ძალას იკრებენ სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობანი. ნაყოფი გამოიღო პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარებისათვის ზრუნვამაც. ამასთანავე ჯერ კიდევ ვერ აღმოგვიფხვრავს შეფერხება ზოგიერთი სასურსათო საქონლით მომარაგებაში.

რა თქმა უნდა, ყველას ესმის, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელება ერთი წლის საქმე არ არის. ეს ასეა. მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვათ სხვა რამეც: სასურსათო პროგრამის შესრულება არ უნდა გავიჭიანურთო, აგრესამრეწველო კომპლექსის მუშაკებმა დღითი დღე უნდა ზარდონ მეცადინეობა, იშრომონ ისე, რომ ამ ამოცანის გადასაწყვეტად გაღებული უდიდესი სახსრები უკუგებას გვაძლევდეს უკვე დღეს, და უფრო მეტს — ხვალ.

პოლიტბიუროს აზრით, პარტიული კომიტეტების მომავალ პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, რომლებიც საგაისო გეგმებს განიხილავენ, უნდა ვიმსჯელოთ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობაზეც. საჭიროა ეკონომიკის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე განხორციელებული მთელი პრაქტიკული მუშაობა შევუჯეროთ სასურსათო პროგრამას.

აქ დაწვრილებით აღარ ვილაპარაკებ იმაზე, რომ საჭიროა კარგად დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო წელი, შევინარჩუნოთ მთელი ჭირნახული, საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის მოსავალს, წარმატებით გამოვაზამთროთ პირუტყვი. ყოველივე ეს თავისთავად იგულისხმება. დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი ახალი ამოცანების გადაწყვეტას, განვიხილოთ ისინი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირეულ მიმართულებებთან მჭიდრო კავშირით, ამასთან გავითვალისწინოთ, რომ საქმე ეხება სწორედ ისეთ კომპლექსს, სადაც მეორეხარისხოვანი ამოცანები არ არსებობს.

1983 წლის გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას, რასაც ლენინი ილიას ძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამოცანა ის არის, რომ არა მარტო გავზარდოთ წარმოება, არამედ მნიშვნელოვნადაც გავაუმჯობესოთ სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი. ეს ეხება არა მარტო მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობას, არამედ აგრეთვე მძიმე და თავდაცვითი ინდუსტრიის საწარმოებსაც.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეს მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რაც სრულიად სამართლიანად აღნიშნა აქ ამხანაგმა ბაიბაკოვმა, მართლაც, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ მთელი რიგი მარტივი საქონლის წარმოების საკითხი ლამის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წყდება ხოლმე. ეს საზრუნავი თავად უნდა იკისრონ ადგილობრივმა ორგანოებმა და მთლიანად აგონ პასუხი მისი გადაწყვეტისათვის.

ნება მიბოძეთ, შევეხო მრეწველობის საბაზო დარგების განვითარების ზოგიერთ საკვანძო პრობლემას. უწინარეს ყოვლისა, მოგახსენებთ სათობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემდგომი განვითარების შესახებ. 1983 წლისათვის დაგეგმილი პირველადი ენერგეტიკული რესურსების მატება დაახლოებით 41 მილიონი ტონა პირობითი სათბობის ოდენობით ჩვენთვის სავსებით ხელმისაწვდომია. ეს შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველყოთ ყველა ენერგოსისტემის შეუფერხებელი, რიტმული მუშაობა.

ძალზე საჭიროა ყაირათიანად ვიყენებდეთ ქვანახშირს, ბუნებრივ გაზს, ნავთობს, ნავთობპროდუქტებს, თბოენერგიასა და ელექტროენერგიას. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს გარკვეულ გარდაქმნას ყველა დარგში და უწინარეს ყოვლისა — ენერგოდამზოგავი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვას, ნორმატივების გაუმჯობესებას, მატერიალური და მორალური სტიმულების გამოყენებას მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, უფრო მკაცრ მომკითხველობას გადახარჯვისათვის, ნორმებისა და ლიმიტების გადამეტებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე ვაპირებთ შევიტანოთ წინადადება: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში შეიქმნას ენერგეტიკის მუდმივი კომისიები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ სამინისტროების მუშაობას, მოჰკითხავენ ყოველი რანგის სამეურნეო ხელმძღვანელებს რესურსების უყაირათო გამოყენებისათვის.

უნდა გავააქტიუროთ მხარეებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში შექმნილი კომისიების მუშაობა, რომლებიც კონტროლს უნდა უწევდნენ ამ საქმის ორგანიზაციას საწარმოებში.

პოლიტბიურო შეშფოთებულია საქმის ვითარებით ტრანსპორტზე. გზათა სამინისტრო კვლავინდებურად ვერ უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას სათბობის, ხე-ტყის, სხვა ტვირთის გადაზიდვაზე. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მოდის ბევრი სიგნალი ამის შესახებ ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისაგან. ამის შესახებ იყო ლაპარაკი დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც.

რკინიგზების მუშაობის მაჩვენებლები, სამწუხაროდ, წლითიწლობით უარესდება იმ სერიოზული დახმარების მიუხედავად, რომელსაც გზათა სამინისტროს მთავრობა უწევს. კაპიტალურ დაბნდებათა მოცულობა ამ სამინისტროს ხაზით 43 პროცენტით გაიზარდა 1975 წელთან შედარებით, ხოლო მაგისტრალური თბომავლებისა და ელმავლების პარკი 23 პროცენტით გადიდდა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია რკინიგზელების სოციალური პირობების გაუმჯობესება, საშეურნეო მექანიზმის სრულყოფა ტრანსპორტზე. მაგრამ სათანადო უკუგება ამ ღონისძიებებს ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

გზათა სამინისტროში დაბალ დონეზეა სალოკომოტივო პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის ორგანიზაცია, მოძრაობის ორგანიზაცია. ეტყობა, არა მარტო ამ სამინისტროს ხელმძღვანელობამ, არამედ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმაც სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ შენიშვნებიდან, რომლებიც ჩვენს პლენუმზე გამოითქვა. **(ტაში).**

გახშირდა შეფერხებანი შავი მეტალურგიის საწარმოთა მუშაობაში. მარშანაც და წელსაც ეს დარგი თავს ვერ ართმევს საგეგმო დავალებებს. სახალხო მეურნეობას დააკლდა რამდენიმე მილიონი ტონა ნაგლინი. პასუხისმგებლობა საქმის მდგომარეობისათვის ამ დარგში უნდა დაეკისროს უწინარეს ყოვლისა შავი მეტალურგიის სამინისტროს. რა თქმა უნდა, არის ობიექტური სიძნელენიც. ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი რეკონსტრუქციას, მოდერნიზაციას მოითხოვს. სამინისტროს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმომარაგებისა და მანქანათსაშენებელი სამინისტროების სერიოზული დახმარება სჭირდება.

ეკონომიკის განვითარებას, ახალ სიმძლავრეთა მექმნას, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას უდიდეს სახსრებს ვახმართ. მათი ეფექტიანი გამოყენება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა. და ამავე დროს კაპიტალური მშენებლობის სფეროში კვლავ ბევრი პრობლემაა. კიდევ უფრო გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას მრავალ ობიექტზე. გავზარდოთ რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის წილი, შევამციროთ ახალ მშენებლობათა რიცხვი. ბევრ რამეში ვერ გვაკმაყოფილებს თვით სამშენებლო საქმის ორგანიზაციაც. აქ არსებული ნაკლოვანებანი ყოველწლიურად სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმების მეუსრულებლობას იწვევს. მთელი რიგი სამშენებლო სამინისტროები ამცირებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობას, თუმცა ამ სამინისტროების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მთავრობა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, მანქანებსა და მოწყობილობას გამოყოფს. ბევრ შემთხვევაში დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი. საკმარისი არ არის სამშენებლო ორგანიზაციათა მობილურობა.

მიღებულია ბევრი გადაწყვეტილება, რომელთა მიზანია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ისინი უნდა განუხრელად შევასრულოთ. წესრიგის დამყარება კაპიტალურ მშენებლობაში ერთ-ერთი ცენტრალური სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

დღეს აღარ შევეხები მეურნეობის სხვა სფეროებსა და დარგებს. ისინი ყველა მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი ხალხისათვის. და თითოეულმა სამინისტრომ და უწყებამ უაღრესად ყურადღებით კიდევ და კიდევ უნდა გააანალიზოს საქმის მდგომარეობა, დასახოს და შეასრულოს არსებული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებანი. მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც მათ თავიანთი მუშაობა უნდა შეაფასონ, — ეს არის დარგის მიერ მუდმივად მზარდ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე.

ეკონომიკის განუხრელი აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება — ეს არის ჩვენი მოვალეობა საბჭოთა ადამიანების წინაშეც, და ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაც. როცა საკითხს ასეთნაირად აყენებს, პარტია ხელმძღვანელობს ლენინის გამჭრიახი მითითებით იმის შესახებ, რომ ჩვენ მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ.

ამხანაგებო!

ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალებამ საზღვარგარეთ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მომავალი კურსის გამო. ვინ მოთვლის ამ ბოლო წლებში რამდენჯერ სცადეს საბჭოთა კავშირისათვის დაებრალებინათ ათასგვარი ავბედითი გეგმები, წარმოესახათ ჩვენი პოლიტიკა ავრესიულ კურსად, რომელიც საფრთხეს უქადის ხან ერთ, ხან მეორე სახელმწიფოს. ახლა კი, თურმე ნუ იტყვით, საგონებელში ჩავარდნილან, ვაითუ, ეს პოლიტიკა შეიცვალოსო. მისი შენარჩუნება საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისა და თანხმობის დიდმნიშვნელოვან წანამძღვრად მიაჩნიათ.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა ვთქვა: საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა იყო და იქნება ისეთი, როგორც ეს ჩვენი პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებები არის განსაზღვრული, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, ხალხთა დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის უფლების დაცვა ჩვენი საგარეო პოლიტიკის უცვლელი მიზანია. ამ მიზნისათვის ბრძოლაში პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა პრინციპულად თანამიმდევრულად და აწონ-დაწონილად იმოქმედებს. **(ტაში).**

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიძნელენი და დაძაბულობა, რომლებიც დღევანდელ საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს, შეიძლება დაძლიოთ და უნდა დავძლიოთ კიდეც. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა ითმინოს კაცობრიობამ გამალებული შეიარაღება და ომები, თუ არ სურს ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეაგდოს თავისი მომავალი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ითმენს ამ წინააღმდეგობა, რომ დღეის დავა სახელმწიფოთა და ხალხთა შორის კონფრონტაციად გადაიქცეს ხოლმე, რომ საზოგადოებრივ სისტემათა პოტენციების საზომი ხდებოდეს იარაღი და მისი ხმარების მზაღყოფნა.

იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკები გვაიძულებს მომზე სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად ვიზრუნოთ, თან ვიზრუნოთ სერიოზულად — თავდაცვისუნაარიანობის ჯეროვან დონეზე შენარჩუნებისათვის. მაგრამ, როგორც არაერთგზის აღუნიშნავს ლეონიდ ილიას ძეს, სამხედრო მეტოქეობა ჩვენი არჩევანი არ არის. მსოფლიო უიარაღოდ — ეს სოციალიზმის იდეალი.

ჩვენი პარტიის უპირველესი საზრუნავი კვლავაც იქნება სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცება. თვით ყველაზე სერიოზული განსაცდელის ჟამსაც კი ჩვენი ძალა, ჩვენი საბოლოო წარმატების საწინდარია ერთობა.

სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა მთელი გეგმები მშვიდობისა და აღმშენებლობის გეგმებია. ჩვენ ვისწრაფვით, რომ მოძმე ქვეყნების ამხანაგური თანამშრომლობა და სოციალისტური ურთიერთდახმარება უფრო ღრმა და ეფექტიანი ხდებოდეს, კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური, საწარმოო, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სხვა ამოცანების ერთობლივ გადაწყვეტაშიც. ამ თვალსაზრისით მუშავდება ახლა შემდგომი ერთობლივი ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს გულწრფელად სწადიათ განაკეთიარონ და გაუმჯობესონ ურთიერთობა ყველა სოციალისტურ ქვეყნასთან. ორმხრივმა კეთილმა ნებამ, ერთძანეთის კანონიერი ინტერესების პატივისცემამ სოციალიზმისა და შმვიდობის ინტერესებისათვის საერთო ზრუნვამ უნდა გვიკარნახოს სწორი გადაწყვეტები იქაც, სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ კიდევ ვერ დაგვიმყარებია საჭირო ურთიერთგაგება და ნდობა.

ეს ეხება ჩვენს დიდ მეზობელს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასაც. იდეები, რომლებიც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა ტაშკენტსა და ბაქოში გამოსვლისას, მისი სიტყვები, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ საღი აზრით, უთუოდ დავძლიოთ ცრურწმენების ინერცია, გამოხატავენ მთელი ჩვენი პარტიის რწმენას, მის იმ მისწრაფებას, წინ იხედებოდეს. და ჩვენ დიდი ყურადღებით ვეკიდებით ამაზე ყოველ პოზიტიურ გამოხმაურებას ჩინეთის მხრივ.

საერთაშორისო ცხოვრებაში იზრდება მიუმხრობლობის მოძრაობის შემქმნელ სახელმწიფოთა ჯგუფის მნიშვნელობა. ბევრ მათგანთან საბჭოთა კავშირს აქვს მრავალმხრივი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ორივე მხარეს რგებს და ხელს უწყობს მეტ სტაბილურობას მსოფლიოში. ამის მაგალითია სსრ კავშირის ურთიერთობა ინდოეთთან. კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ სახელმწიფოებთან, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობა იყო და არის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ჩვენი სახელმწიფო ნიადაგ აცხადებს, რომ მზად არის ღიად, პატიოსნად ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან, რომლებიც ამითვე გვიპასუხებენ. საზოგადოებრივ სისტემათა განსხვავება ხელს არ უნდა უშლიდეს ამას — და არც უშლის იქ, სადაც ორივე მხარე იჩენს კეთილ ნებას. ამის დამაჯერებელი დასტურია დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანასთან სსრ კავშირის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების საგრძნობი პროგრესი.

ჩვენი ღრმა რწმენით, 70-იანი წლები, რომლებმაც დაძაბულობის შენელების ნიშნით ჩაიარა, არ ყოფილა კაცობრიობის ძნელი ისტორიის შემთხვევითი ეპიზოდი, როგორც დღეს ამტკიცებს ზოგიერთი იმპერიალისტური მოღვაწე. არა, დაძაბულობის შენელების პოლიტიკა სულაც არ არის განვლილი ეტაპი. მომავალი მას ეკუთვნის. **(ტაში).**

მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების შენარჩუნება ერთნაირად სწადია ყველას, ამატომ სხვა რომ არა ვთქვათ რა, არასერიოზულად გაისმის განცხადებანი, რომლებშიც ურთიერთობის ნორმალიზაციის მზადყოფნას უკავშირებენ იმ მოთხოვნას, რომ საბჭოთა კავშირმა ამის ფასად წინასწარ დათმოს რაღაც სხვადასხვა დარგში. ამას ჩვენ არ ვიზამთ, **(ტაში).** და ჩვენ არც გვაქვს რაიმე გასაუქმებელი: არ შემოგვიღია სანქციები ვისიმე წინააღმდეგ, არ გვითქვამს უარი ხელმოწერილ ხელშეკრულებსა და შეთანხმებებზე, არ შეგვიწყვეტია დაწყებული მოლაპარაკება. მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, საბჭოთა კავშირი შეთანხმების მომხრეა, მაგრამ იგი უნდა ვეძებოთ ნაცვალგებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. **(ტაში).**

ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა დასავლურ ქვეყნებთან მოლაპარაკების, უწინარეს ყოვლისა, გამალებული შეიარაღების შეკავების საკითხებზე მოლაპარაკების დედაარსად სულაც არ მიგვაჩნია ის, რომ „უთანხმოებანი აღვნუსხოთ ხოლმე. ჩვენთვის მოლაპარაკება — ეს არის ხერხი სხვადასხვა სახელმწიფოს, ძალისხევის გაერთიანებისა ყველა მხარისათვის სასარგებლო შეკავებების მისაღწევად. პრობლემები უკეისთავად ისე ქრება, თუ მოლაპარაკებას აწარმოებ მოლაპარაკებრმ ბენლოსათვის, როგორც ეს, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ვეძებოთ ყველაზე რთული პრობლემების და, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც ბირთვული ისე ჩვეულებრივი გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემების გადაჭრის ჯანსაღი საფუძველი, რომელიც მისაღები იქნება მხარეებისათვის. მაგრამ ნუთუ ვინ ნუ მოელის ჩვენგან ცალმხრივ განიარაღებას. ჩვენ მიამიტნი არა ვართ. **(ტაში).**

დასავლეთის ცალმხრივ განიარაღებას ჩვენ არ მოვითხოვთ. ჩვენ თანასწორუფლებიანობის მომხრენი, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების მომხრენი, პატიოსანი შეთანხმების მომხრენი ვართ. და ამისათვის ჩვენ მზად განლავართ. **(ტაში).**

რაც შეეხება, კერძოდ, სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულ იარაღს, რომელიც აქვთ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, თანახმაა, რომ მომავალი შეთანხმების გზაზე პირველი ნაბიჯის სახით ორივე მხარემ „გაყინოს“ თავისი არსენალები და ამით ყველაზე სასიკეთო პირობები შეუქმნას მისი ორმხრივი შემცირების შესახებ მოლაპარაკების განგრძობას.

სსრ კავშირი საერთოდ უარყოფს იმათ თვალსაზრისს, ვინც ცდილობს ადამიანებს ჩააგონოს, თითქოს ძალა, იარაღი წყვეტდნენ და მუდამ გადაწყვეტენ ყველაფერს. დღეს, როგორც არასდროს, ისტორიის ავანსცენაზე გამოდიან ხალხები. მათ მოიპოვეს ხმის უფლება, და ამ ხმას ვერავინ ჩაახშობს. მათ ძალუძთ აქტიური და მიზანდასახული მოქმედებით აღმოფხვრან ბირთვული ომის საფრთხე, შეინარჩუნონ მშვიდობა და, მაშასადამე, სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე. და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყველაფერს იღონებენ, რათა ეს ასეც იყოს. **(ტაში).**

ამხანაგებო!

სკკპ XXVI ყრილობამ დააკონკრეტა პარტიის ხანგრძლივი სტრატეგია მეთერთმეტე ხუთწლედის პერიოდისა და მოლიანად ოთხმოცდაანი წლებისათვის. ამ სტრატეგიის მიზანი ის არის, რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით უკეთ ცხოვრობდნენ და მათს შრომას სულ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები მოჰქონდეს, რომ ჩვენი სოციალისტური წყობილება სულ უფრო სრულად ავლენდეს თავის ჰუმანურ არსს, თავის აღმშენებლობითს შესაძლებლობებს.

ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა დარგში დასახულია დიდი და მნიშვნელოვანწილად ახალი ამოცანები. წარმატება, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და უწინარეს ყოვლისა ცენტრალური კომიტეტის მიზანდასახულ კოლექტიურ მუშაობაზე, ჩვენს იმ უნარზე, რომ პარტიული, სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების, ყველა შრომითი კოლექტივის საქმიანობა წარვმართოთ საკვანძო მიმართულებებით.

უნდა ავამოქმედოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება, ფართოდ გავუწიოთ პროპაგანდა და განვმარტოთ 1983 წლის გეგმის დავალებანი. ისინი უნდა დაკონკრეტდეს თითოეული საწარმოს, თითოეული შრომითი კოლექტივის ამოცანების შესაბამისად. ეს პირველი.

მეორე, საჭიროა სწორად გავანაწილოთ კადრები, რათა გადამწყვეტ უბნებზე იდგნენ პოლიტიკურად მომწიფებული, კომპეტენტური, ინიციატივიანი ადამიანები, რომელებსაც აქვთ ორგანიზატორული უნარი და სიანლის ალღო, ურომლისოდაც ჩვენს დროში წარმატებით ვერ ვუხელმძღვანელებთ თანამედროვე წარმოებას. **(ტაში).**

მესამე, უნდა ავამაღლოთ თვით შრომელი მასების აქტიურობა. ეს დღეს პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიის იდეები, გეგმები, მოწოდებანი, როგორც ცნობილია, მატერიალური ძალა ხდება, როცა მასებს ეუფლება. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა თითოეულ შრომელს ესმოდეს, რომ გეგმის შესრულება დამოკიდებულია მის შრომითს წვლილზე, ყველას კარგად ესმოდეს ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ რაც უფრო კარგად ვიშრომებთ, მით უფრო კარგად ვიცხოვრებთ. როგორც ლენინი აღნიშნავდა, რაც უფრო ფართოა ჩვენი გეგმების, ჩვენი საწარმოო ამოცანების მასშტაბი, „მით უფრო მეტი უნდა იყვნენ ადამიანები, რომელთა მილიონები ჩაბმულ უნდა იქნენ ამ ამოცანათა გადასაწყვეტად დამოუკიდებელ მონაწილეობაში“.

ეს კი ნიშნავს, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვავითაროთ სოციალისტური დემოკრატია მისი უფართოესი გაგებით, ესე იგი სულ უფრო აქტიური მონაწილეობა მივაღებინოთ მშრომელთა მასებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. და, რა თქმა უნდა, აქ არ გვჭირდება იმის მტკიცება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ზრუნვა მუშაკთა სპეციალობებისათვის, ძათი შრომისა და ყოფის პირობებისათვის.

ჩვენ ყოველთვის და განუხრელად ერთგულად დავიცავთ ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. **(ტაში).**

ამხანაგებო! ამოცანები უდიდესი და რთული გველის. მაგრამ ჩვენს პარტიას ხელეწიფება მათი შესრულება.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან გამოთხოვების დღეებმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი განუყოფელია, რომ ისინი ცხოვრობენ ერთიანი მისწრაფებით — მტკიცედ და განუხრელად იარონ წინ ლენინური გზით.

საბჭოთა ადამიანებმა კვლავ ცხადყვეს უსაზღვრო ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, ულრმესი პატივისცემა და სიყვარული მშობლიური პარტიისადმი, ორგანიზებულობა, სულიერი სიმტკიცე, საკუთარი ძალების რწმენა.

ჩვენ ვვგებებით დიდმნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიაში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ამ დღეებში საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ საუკეთესო ფიქრებს მიაპყრობენ ჩვენს ლენინურ პარტიას, რომელიც იდგა სსრ კავშირის შექმნის სათავეებთან და ბრძნულად მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ხალხებს კომუნიზმის მშენებლობის გზით.

განვამტკიცებდეთ პარტიისა და ხალხის ერთიანობას, განუხრელად ვასრულებდეთ დიდი ლენინის ანდერძს — ეს არის ყველა ჩვენი მომავალი გამარჯვების საწინდარი! **(ხანგრძლივი ტაში).**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი

ჰეიდარ ალის ძე ალიევი

ამხ. ჰ. ა. ალიევი დაიბადა 1923 წლს მუშის ოჯახში. სკკპ წევრია 1945 წლიდან. დამთავრა აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

მუშაობდა ნახჭევანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს განყოფილების გამგედ. შემდგომ — სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, სადაც განვლო გზა რიგიანი ოპერატიული მუშაკიდან აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემდე.

1969 წლის ივლისში იგი არჩეულ იქნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობებზე არჩეული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1976 წლის მარტიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობა, კანდიდატად.

სოციალისტური შრომის გმირია. არის სსრ კავშირის მთელი რიგი მონაგრების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

22 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის გ. თ. ნიზოვის ინფორმაცია 1982 წელს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

22 ნოემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცივს პატივი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას, რომლის მუშაობასთანაც პოსტზე საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების უაღრესად ნაზშენელოვანი პერიოდი დაკავშირებული. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურად ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მუშაობის თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმი, ამ პლენუმზე გამოთქმული პარტიის მტკიცე გადაწყვეტილება— განაგრძოს წინსული ლენინური გზით, თანამიმდევრულად განახორციელოს მის მიერ შეფუშავებული კურსი საგარეო და სამნათა პოლიტიკაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა კმაყოფილებით აღიქვეს. ამ ვექტორს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ყველა დეპუტატის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს აღუთქვა, რომ ხალხის რჩეულნი ყველაფერს იღონებენ, რათა ხორცი შეასხან პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს.

პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მეთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მოწყობისთანავე დაკავშირებული საკითხები.

განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ. ამ საკითხთა შესახებ სხდომაზე გამოვიდა ვ. ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგაგმო-სახეთაო ჯგუფი კომისიების თავმჯდომარეებს გ. ი. ვაშჩენკოსა და ნ. ი. მასლენიკოვს ინფორმაციის მიეზიდვით განხილული იქნა საკითხი, თუ როგორ დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგაგმო-სახეთაო ჯგუფი ამ ინფორმაციის მიხედვით განხილულ იქნა საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად იმ ბრძანებულებათა შეტანის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე და მეშვიდე სესიებს შორის პერიოდში.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ტ. ი. კისელოვი, შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები. (საკდესი).

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი. მარცხნიდან — ყირგიზი მეტალურგი ზ. მამატოვი, ალტაის მხარის ბიისკის ოლეუმის ქარხნის მეკანარატე ე. შვეცოვი, მოსკოვის ელიჩის სახელობის დეპოს ელმავლის მეშინინე ს. იაცკოვი, ყიტმორის ხელის კომბინატის მეჩოფალი გ. ბელიაროვა და თბილისის საკავშირო ქარხნის ხარატი ტ. როსტაშვილი.

საკდს-საკინფორმის ტელეფოტო.

სრულყოთ სამეურნეო მექანიზმი

სანარმოს პრობლემებს — რაციონალური გადაწყვეტა

ცხოვრების დღეგანდელ ეტაპზე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება საქმისადმი მეცნიერულ მიდგომას, ეკონომიკის მართვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების ძიება-დანერგვას. ამის საუკეთესო დადასტურებაა ჩვენს ქალაქში მოქმედი ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანება, როგორც სახალხო მეურნეობის მართვის ახალი ფორმა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექსპერიმენტის პირველი სასკოლო. შედეგები უკვე მიღებულია. ეფექტრმ, ამასაც განაპირობა ფოთის სარეწველო საწარმოთა ბოლოდროინდელი თვალსაზრისი მიღწევები.

ამ საერთო წარმატებებში ჩვენი საწარმოს კოლექტივის წვლილიც არის. თუმცა, ისიც მინდა შევნიშნო, რომ სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად განვლილ გზა იოლი რიდი იყო, რადგან მისი დაძლევა კოლექტივს ზეგებოდა რთულ პირობებში. ხელდველობაში მაქვს ის ფაქტორი, რომ ობიექტური მიზეზების გამო ხშირად იცვლებოდა დასაზადებელი ძრავების სახეობანი. იცვლებოდა ავრეთვე ქარხნის წარმოების ძირითადი ტექნიკური და ეკონომიკური მიმართულებანი, რაც ცხადია, აფერხებდა კოლექტივის მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ მუშაობას.

ახლა ეს საკითხი მოგვარდა. ქარხანა სპეციალიზებულია მუდმივი დენის ძრავების გამოშვებაზე. წარმოების დარგობრივი სპეციალიზაციის მიმართულების შესაბამისად შემუშავებულია მიდინარე ხუთწლედში ქარხნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ოთხსაძიანი კომპლექსური გეგმა. იგი, წინა ხუთწლედთან შედარებით, ნაწარმის მთლიანი მოცულობის 150 პროცენტით ზრდასა და ნომენკლატურის ორასაკლან 47 პროცენტით განახლებას ითვალისწინებს, საამისოდ ნაგარაფდეგია ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

წელიწადს ამ გეგმის შესაბამისად საწარმოში უკვე ამოქმედდა დიდმნარმიებლური დანადგარი. მათ შორის 8-შპინდელიანი სახარატო-ხრახნსაჭრელი ავტომატური ჩარხები, ქრავეს ოცეულის სექციების დამზადება მაქსიმუნი და სხვ. მალე მწყობრში ჩადგება შეიღების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზებული უწყვეტი ხაზი. მიმდინარეობს სანესტრუმენტო უბნის ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქცია მისი მწარმოებლობის ზკვეთრი ზრდისა და ზრომის მეცხიერული ორგანიზაციის მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად. ზრომის პირობების გაუჯობესების მიზნით, თუ როგორ დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგაგმო-სახეთაო ჯგუფი ამ საკითხზე მუშაობა, ამაზე განაპირობა ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობა,

სასიკეთო გარდაქმნების მოლოდინი

თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და बალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალ ხელმძღვანელობას სპექტაკლის მიმდინარეობის დროს შეეხვიდნო. ამატომ საუბარი მოკლე გამოდგა. ესეც არ იყოს, ყველაფრის ბოლომდე ვაზრება ჯერ ვერ მოასწრეს. ჩვენი გაზეთი ოპერის თეატრში სასიკეთო ძერებისა და გარდაქმნების თემას კვლავ დაუბრუნდება. ახლა კი მოვუსმინოთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, სახელმოხვეული მუსიკოსს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს **ჯანსუღ კახიძეს:**

— შეიქმნა ხელმძღვანელობის სრულიად ახალი სისტემა. და ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამაღლდეს დონე ჩვენი ეროვნული საოპერო თეატრისა, რომელიც, რა დასამალია და, ბოლო ხანს მაინცდამაინც ვერ აკმაყოფილებდა საოპერო და საბალეტო ხელოვნების მოყვარულთა. ამიერიდან თეატრის რეჟისურას უხელმძღვანელებენ და რეგულარულად დადგამენ სპექტაკლებს მიზეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა და ბურამ მელითა. საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელობა დაეკისრა მიხეილ ლავროვსკის, ხოლო გუნდისა — პროფესორი იან დუმინს — ლატვიის სსრ სახალხო არტისტი — ჩვენი რუსპუბლიკის დიდ მეგობარს (1958 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე სწორედ იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო „კაპელას). თეატრის სეგნოგრაფიას კონსულტაციას გაუწევს სსრ კავშირის სახალხო მხატვარი სოლიკო ვირსალაძე, ხოლო რეპერტუარს — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე გიგი ორჯონიკიძე. ყოველივე ამას სათავეში ჩაუდგა თეატრის ახალი დირექტორი, ქართული ხელოვნების დიდი გულშემატკივარი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი **ზურაბ მასხარაძე.** იგი გამოცდილი ორგანიზატორია, მუშობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, ბოლოს „ინტურისტის“ თბილისის გაერთიანების დირექტორი გახლდათ.

— მაგრამ, რა ეშველება საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს? თქვენ ხომ მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორიც ბრძანდებით?

—ალბათ, იქაც ვიქნები. ისე, შველა საოპერო თეატრის ორკესტრს უფრო სჭირდება და, ვფიქრობთ, სწორედ სიმფონიური ორკესტრიდამ დაეხსნებოთ ზოგიერთი მუსიკოსი.

— ახალ ხელმძღვანელობას, ალბათ, ბევრი ფიქრი ექნება... ეს ეხება ბალეტსაც. ეს ეხება ოპერასაც. ეს ეხება ორივეს ერთად. ეს ეხება ბალეტსაც, ოპერასაც,